

ქ. ლანჩხუთი

25 მაისი , 2012 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე, რევაზ ჩიტაძე.

**სხდომას ეწვებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე, მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო ძიძიგური, თანაშემწე, დონარა დოლიძე, საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსები: მათა კეკელიძე, ალექო ჭყონია.

**მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, გამგებლის მოადგილე კახაბერ ასკურავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი, როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, სარდიონ ჩხაიძე, გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მათა

აფხაზავა, „აგრობიზნეს ცენტრ–ლანჩხუთის“ დირექტორი გელა ზოიძე და მედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტოიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ს. ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. აფხაზავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

4. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტოიძემ, კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, სარდიონ ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებით განსაზღვრულია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი და არ არის დარეგულირებული თუ რა ფორმით უნდა განახორციელონ აღნიშნული პროცესი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის მათ საქმიანობაში.

მანვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით საშუალება ეძლევათ იურიდიული პირების ხელმძღვანელებს ერთპიროვნულად გადაწყვიტონ მათ კუთვნილებაში არსებული იმ ქონების საკითხი, რომლის საბალანსო ღირებულება არ აღემატება 1000 (ათას) ლარს. ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების სისწორეზე პასუხიმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილება შევიდა საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილების პირველ და მეორე მუხლებში და დაემატა მე-5 პრიმა მუხლი.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულია, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ჩამოყალიბების, ასევე მათი ლიკვიდაციის, ქონების ჩამოწერის და გასხვისების წესები. მან მოითხოვა განმარტება წარმოდგენილი დადგენილების პროექტში რამდენად სწორად არის გათვალისწინებული ზემოთაღნიშნული წესები.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტაძემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილება სრულ თანხვედრაშია შესაბამის კანონმდებლობასთან და იგი შეთანხმებულია გამგეობის იურიდიულ სამსახურთან.

პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ სხვა მოსაზრებები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინიძემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

## **მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი**

### **მიღებულ იქნა დადგენილება N (25.05. 2012 წელი).**

- დღის წესრიგის მეორე საკითხზე** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N90 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მაია აფხაზავა. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ შესყიდვების გეგმის პროექტში შეტანილი იქნა ცვლილებები 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით გამოყოფილი 940000 ლარის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიების გათვალისწინებით. კერძოდ,
1. სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფების შენობების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „გამა მილენიუმმა“, თანხით 158456 ლარი, ეკონომიამ შეადგინა 15394 ლარი.
  2. გზის შეკეთების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „გზის მშენებელმა“ თანხით 495905 ლარი, ეკონომიამ შეადგინა 29521 ლარი.
  3. ქ. ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა ი.მ. „ფარნაოზ ყიფიანმა“ თანხით 34988 ლარი, ეკონომიამ შეადგინა 2379 ლარი.
  4. ქ. ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავისა და ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა „ნიაზ ბერიძემ“ თანხით 76812 ლარი, ეკონომიამ შეადგინა 585 ლარი.
  5. ქ. ლანჩხუთის ცენტრალურ ნაწილში სკვერის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა. ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 47879 ლარი. (დანართი №1) . ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით ეკონომია შეადგენს 77843 ლარს. (დანართი №2) აღნიშნული ეკონომია მიმართული იქნა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.
  6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის

ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოხსენებით ბარათის საფუძველზე ცვლილებები იქნა შეტანილი ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ შესყიდვების გეგმის პროექტშიც. კერძოდ; ცვლილებები: სოც-კულტურული ღონისძიების მუხლის დაფინანსება შემცირდა 14 000 ლარით, აღნიშნული თანხით გაიზარდა სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირების ხარჯები.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ განმარტა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით შეტანილ იქნა სათანადო ცვლილება შესყიდვების გეგმაში, განხორცილდა მისი ჩაშლა კლასიფიკაციებისა და კოდების მიხედვით. საბიუჯეტო კანონის შესაბამისად დაგეგმილია მ/წ 8 ივნისამდე შეტანილ იქნა ცვლილებები ბიუჯეტში.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი. (დეპუტატი მაკა კვიციანი სხდომაზე გამომხადდა დღის წესრიგის მეორე საკითხის მიმდინარეობის დროს)**

**მიღებულ იქნა განკარგულება N (25.05.. 2012 წელი).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ განკარგულების პროექტის სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის N772 განკარგულების საფუძველზე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში უნდა განხორციელდეს ცვლილება 560 000 ლარის მატების გათვალისწინებით. შესაბამისი მიმართოს ხარჯების ნაწილში: ქ. ლანჩუთში მდებარე საფეხბურთო სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად 500 000 ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ამერიკული თეთრი პეკლის“ საწინააღმდეგო ღონისძიების ჩასატარებლად 60 000 ლარი,**

**საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N162 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხა (სოფლის პროგრამა) 838 296 ლარი მიმართოს: გზების რეაბილიტაციაზე 63 130 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 80 740 ლარი, საწრეტი**

არხების მოწყობაზე 33 355 ლარი ეკლესიის მშენებლობისათვის 6994 ლარი, სკვერის რეაბილიტაციაზე 44 904 ლარი, შემოღობვის სამუშაოებისათვის 224 180 ლარი, წყალსადენების რეაბილიტაცია-ექსპლუატაციაზე 112 292 ლარი, გარე განათებაზე 70 062 ლარი, სპორტულ მოედნებზე 43 354 ლარი, კულტურის სახლების რეაბილიტაციაზე 50 142 ლარი, საგანმანათლებლო სააღმზრდელო ბაღების რეაბილიტაციაზე 29 590 ლარი, სამუსიკო სკოლის რემონტზე 5443 ლარი, კეთილმოწყობის სამუშაოებზე 17 949 ლარი, მოსაცდელის მოწყობაზე 3504 ლარი, ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე რემონტზე 530 ლარი, ბიბლიოთეკის მიმდინარე რემონტზე 11 498 ლარი. ამბულატორიის მოწყობაზე 12 093 ლარი.

მისივე განმარტებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად დღის წესრიგის მესამე საკითხზე დადგენილების მისაღებად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ, კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N (25.05. 2012 წელი).**

### **სხვადასხვა.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტინემ გააკეთა ინფორმაცია, რომ

ა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან დამეგობრებულმა უკრაინის ქალაქ „ნოვა კახოვკას“ მკვიდრმა ვლადიმერ კოვალენკომ გამოაგზავნა მოსალოცი ბარათი საქართველოს დამოუკიდებლობის დღესათან დაკავშირებით.

ბ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მთავარი პროკურორის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ახალგაზრდები ნარკომანიის წინააღმდეგ“ პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი რაიონის მკვიდრმა, წყალწმინდის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ, ანა ურუშაძემ, რომელიც დაჯილდოებულ იქნა „აიპოდით“.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გოგუაძემ გაკეთა განცხადება „ამერიკული თეთრი პეპლის“ საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ტენდერში გაიმარჯვა ინდ. მეწარმე „რობერტ იმნაიშვილმა“, რომელიც უზრუნველყოფილია სამინისტროს მიერ გამოყოფილი სპეცტექნიკით, სპეცტანსაცმლით და სათანადო შხამ-ქიმიკატებით. აღნიშნული ინდ. მეწარმე უახლოეს დღეებში დაიწყებს მუშაობას და მოემსახურება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიას.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:



საკრებულოს აპარატის უფროსი:

ნინო ძიძიგური

თანაშემწე:

დონარა დოლიძე

საკრებულოს საოქმო და საქმისწარმოების  
განყოფილების უფროსის მოვალეობის  
შემსრულებელი:

მაია კვეკელიძე